KA021794771469916

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ ფოთი, დ თავდადებულის ქ 4

N12/54786

24 / ოქტომბერი / 2016 წ.

სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N 1 საჯარო სკოლა

თქვენი 2016 წლის 18 ოქტომბრის №MES 71601239376 (რეგ:№84219/04; 18.10.2016) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრი თანახმაა სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებაში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №27.06.56.099) მდებარე: 35 კვ.მ ფართი - სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადით აუქციონის საფუძველზე გაცემა განახორციელოთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმ ვალდებულებებით, რაც თქვენს ზემოაღნიშნულ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 17 ოქტომბრის №MES31601235132 წერილში არის მითითებული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებულ უნდა იქნეს საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ აუცილებელ პირობას. ამასთანავე, საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, იჯარით გასაცემ ფართებზე კომუნალური გადასახადები გადახდილ უნდა იქნეს მოიჯარის მიერ.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსი

გოჩა კანკავა